მე, ზურაბ ბალავაძე, დავიბადე 1983 წლის 17 ივნისს, ქ.თბილისში.

2000 წელს დავამთავრე თბილისის N62-ე საშუალო სკოლა.

2000-2005 წლებში ვსწავლობდი ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

სამუშაო გამოცდილება:

2003-2005 წლები - თბილისის გლდანი ნაძალადევის რაიონული სასამართლო (დაცვის ინსპექტორი, კანცელარიის სპეციალისტი);

2005-2007 წლები - თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგია (კანცელარიის სპეციალისტი, სხდომის მდივანი, მოსამართლის თანაშემწე);

2009-2010 წლები - მარნეულის რაიონული სასამართლო, ბოლნისის რაიონული სასამართლო (მოსამართლის თანაშემწე);

2011-2012 წლები - თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგია (კანცელარიის სპეციალისტი, მოსამართლის თანაშემწე, სხდომის მდივანი);

2012-2013 წლებში - იუსტიციის უმაღლესი სკოლის მსმენელი;

2013-2015 წლები - რუსთავის საქალაქო სასამართლო (კანცელარიის სპეციალისტი, განყოფილების უფროსი).

2016 წლის 4 იანვრიდან - ზესტაფონის რაიონული სასამართლოს მოსამართლე.

2007, 2010 და 2011 წლებში ჩავაბარე ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდა სისხლის სამართლის სპეციალიზაციით, მოსამართლის თანაშემწის ტესტური გამოცდა და მოსამართლის საკვალიფიკაციო გამოცდა სისხლის სამართლის სპეციალიზაციით.

2013-2020 წლებში მონაწილეობა მივიღე ტრენინგებში (სამრეწველო საკუთრებაზე უფლებების ახალი როლი და გამოწვევები ევროკავშირში; არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება მათ შორის არასრულწლოვანთან ურთიერთობის მეთოდიკა და მასთან დაკავშირებული სხვა საკითხები; არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სიღრმისეული კურსი (ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულება); სამოსამართლო უნარები - სასამართლო დარბაზში კომუნიკაცია და მიკერძოება; სპეციალური მომზადების კურსი - ბავშვის უფლებათა დაცვის სფეროში (საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ დადგენილი მოსამართლის სპეციალიზაციის სტანდარტის შესაბამისად); საკონსტიტუციო სასამართლოს მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები; სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის აქტუალური საკითხები).

მყავს მეუღლე, სოფიო გაგნიძე, რომელიც არის თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლე და ორი შვილი, დაჩი და დათა ბალავაძეები.